დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. მოქმედების სფერო და მიზანი

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი" ან ,,თსუ") დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ მინიმალურ სტანდარტს ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სხვა ნორმატიული და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
2. დოქტორანტურის მიზანია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე აკადემიისა და დასაქმების ბაზრისათვის მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო ცოდნითა და პედაგოგიური უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადება, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოება, ქვეყანაში სამეცნიერო და ინოვაციური მუშაობის გააქტიურება და ხარისხის ამაღლება, საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში ჩართვა, ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბების მიზნით ახალი ცოდნის შექმნისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, განხორციელებული სადისერტაციო ნაშრომის შესაბამისობის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

თავი II. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლა

მუხლი 2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, გარდა იმ პირისა,რომელსაც მაგისტრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის 2^3 პუნქტით გათვალისწინებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის გავლის საფუძველზე. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს პირს, რომელმაც დაასრულა ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა და რომელიც ამ პროგრამის განხორციელების დროს უფლებამოსილი იყოს სწავლა გაეგრძელებინა ასპირანტურაში.

2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
3. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებში.
4. ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე პირი შეიძლება ჩაირიცხოს მობილობის წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი დოქტორანტი უნდა აკმაყოფილებდეს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს.
5. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიღების წინაპირობები საჯაროა, მოიცავს ინფორმაციას პროგრამის, მიღების ვადების და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, ინფორმაციას ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესების და დოქტორანტების მიერ კვლევის განხორციელებისათვის მხარდამჭერი და წახალისების მექანიზმების და სხვა ასპექტების შესახებ.
6. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობების განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება კანდიდატების გამოცდილების და შესაძლებლობების შეფასება, ასევე ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტრატეგია.
7. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება ხდება კომისიური წესით.
8. დოქტორანტობის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია.
9. კვლევითი უნარების შეფასების მიზნით, კანდიდატს მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება.
10. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. გერმანული ან ფრანგული ენის ცოდნის დადასტურების შემთხვევაში, დოქტორანტს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება არანაკლებ B1 დონეზე. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ/გერმანულ/ფრანგულ ენას მოეთხოვება ამ უცხოური ენის C1 დონეზე ცოდნა **(დანართი №2).**
11. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს, თუ კვლევის ემპირიული ბაზა არის ქართული - ქართული ენის ცოდნის C1 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში. ქართულ ენაში გამოცდისგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუკი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტი/კომპონენტები ხორციელდება ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას. ასეთ შემთხვევაში, დოქტორანტს ეკისრება ვალდებულება, დისერტაციის დაცვამდე სულ მცირე ორი სემესტრით ადრე დაადასტუროს ქართული ენის ცოდნა ქართული ენის ცოდნის B2 დონის

დამადასტურებელი სერტიფიკატი, თუ კვლევის ემპირიული ბაზა არის ქართული - ქართული ენის ცოდნის ენის ცოდნის C1 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატით ან გამოცდით.
12. დოქტორანტობის კანდიდატი, ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული ქართული ენის ცოდნის დადასტურების ვალდებულებისგან თავისუფლდება, იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე კანდიდატის ჩარიცხვა ხდება საერთაშორისო პარტნიორობის/პროექტის ფარგლებში.
13. დოქტორანტობის კანდიდატი დოქტორანტურაში სწავლის უფლების მოსაპოვებლად:
ა) გადის გასაუბრებას შესაბამის პროგრამაზე მიღების წინაპირობის გათვალისწინებით;
ბ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიმღებ კომისიას წარუდგენს კვლევის პროექტს.
გ) აბარებს უცხო ენის გამოცდას ან/და ადასტურებს უცხო ენის ცოდნას შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.
14. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე კანდიდატთა ჩარიცხვის პროცედურების გასაჩივრება შესაძლებელია უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად **(დანართი N11).**
15. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით შეიძლება დადგენილ იქნეს პროგრამაზე მიღების დამატებითი მოთხოვნები.

მუხლი 3. დოქტორანტურაში მიღება და საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება

1. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს დოქტორანტურის პროგრამაზე მიღების წინაპირობებს, დოქტორანტურაში სწავლის უფლების მოსაპოვებლად გადის გასაუბრებას, **ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცებული დარგობრივი კომისიის წინაშე,** შესაბამის პროგრამაზე მიღების წინაპირობის გათვალისწინებით.
2. დოქტორანტობის კანდიდატი დოქტორანტურაში სწავლის უფლების მოსაპოვებლად ახდენს დარგობრივ კომისიასთან კვლევის პროექტის პრეზენტაციას.
3. დარგობრივი კომისია, საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი წესით, აფასებს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირის კვლევის პროექტის შინაარსობრივ მხარესა და მის პრეზენტაციას. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომისია ასევე აფასებს შესაბამის სფეროში კანდიდატის წინარე ნაშრომს, პუბლიკაციას ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობას ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილებასა და შესაძლებლობებს, რაც დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის არის საჭირო.
4. დოქტორანტობის კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების სისტემა (შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები) განისაზღვრება შესაბამისი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით. დოქტორანტობის კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის (**დანართი: დარგობრივ კომისიასთან გასაუბრების კრიტერიუმები).**

5. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხება დოქტორანტობის კანდიდატი, რომელიც ფაკულტეტის მიმღები დარგობრივი კომისიის მიერ, მისი კვლევითი უნარების შეფასების დადებითი შედეგების საფუძველზე, მოიპოვებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებას.
6. უნივერსიტეტსა და დოქტორანტს შორის იდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მხარეთა უფლებები და მოვალეობები.
7. დოქტორანტობის კანდიდატის კონკრეტულ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ მიმღები კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით პირი კონკრეტულ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხება თსუ-ის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 4. დოქტორანტურაში სწავლის პირობები

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს.
2. დოქტორანტის ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ მისი მომდევნო სემესტრში რეგისტრაციის წინაპირობა არის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობა ფაკულტეტის წინაშე, რომელშიც უნდა დასაბუთდეს სწავლის/კვლევის გაგრძელების მიზანშეწონილობა. ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით. დოქტორანტი ვალდებულია დაასრულოს დოქტორანტურაში სწავლისა და კვლევის პროცესი, არა უმეტეს 4 სასწავლო სემესტრისა.
3. დოქტორანტები, რომელთაც შესრულებული აქვთ პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები, სადისერტაციო ნაშრომის დაცვისთვის საჭირო დოკუმენტაციას წარუდგენენ ფაკულტეტს და სადისერტაციო ნაშრომს დაიცავენ უნივერსიტეტში დადგენილი წესით.

მუხლი 5. დოქტორანტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა

1. დოქტორანტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

თავი III. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა და მისი კომპონენტები

მუხლი 6. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პერსონალი

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო

კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში, უშუალოდ ჩართული უნდა იყოს პროგრამის განხორციელებაში და წარმოადგენდეს დაწესებულების აფილირებულ აკადემიურ ან სამეცნიერო პერსონალს.
2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული უნდა იყოს მინიმუმ 5 შესაბამისი სფეროს აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათ შორის - მინიმუმ 3 პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი. პროგრამის განხორცილებაში ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამეცნიერო პერსონალის ჩართულობა (არსებობის შემთხვევაში);
3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს ბოლო 3 წლის განმავლობაში საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით, რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მათ კომპეტენტურობას;
4. მიზანშეწონილია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალის, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის მონაწილეობა;

მუხლი 7. სამეცნიერო ხელმძღვანელი

1. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა შეუძლია თსუ-ს აკადემიურ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი)/სამეცნიერო პერსონალს, რომელიც არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი და უდასტურდება:
ა) დოქტორის აკადემიური ხარისხი ან დოქტორთან გათანაბრებული ხარისხი შესაბამის სფეროში;
ბ) აქტიური მონაწილეობა სამეცნიერო კვლევებში ან/და დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში/სპეციალობაში/მიმართულებაში ან/და დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკაში/კვლევის სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები (არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი) ბოლო 3 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში;
გ) ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება, ან გავლილი აქვს შესაბამისი აქტივობა (ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა);
2. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ასევე რამდენიმე ხელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში, ერთ-ერთი ხელმძღვანელი, წარმოადგენს დოქტორის/დოქტორთან გათანაბრებული ხარისხის მქონე თსუ-ის აკადემიურ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი) ან/და სამეცნიერო პერსონალს. აკადემიური თანამდებობის დაკავების ნაწილში არსებული მოთხოვნა არ ვრცელდება საერთაშორისო ხელმძღვანელზე/თანახელმძღვანელზე;
3. დოქტორანტის სამეცნერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან პროფესიული კავშირი (ერთობლივი

კვლევები/გრანტები/პროექტები, სამეცნიერო ასოციაციები/კავშირები/ საგანმანათლებლო/სამეცნიერო დაწესებულებები);

4. თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის თემატიკას/კვლევის სფეროს;

5. დოქტორანტს, მის სამეცნიერო ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება ხელშეკრულების/შეთანხმების ფორმა, რომელშიც განსაზღვრულია ყველა მხარის უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულების/შეთანხმების პირობები ხელს უწყობს ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და დოქტორანტის მიერ ნაშრომის დადგენილ ვადაში დასრულებას;

6. დოქტორანტის ხელმძღვანელობა გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის საერთო საუნივერსიტეტო დატვირთვის სქემაში;

7. სამეცნიერო ხელმძღვანელმა შეიძლება უხელმძღვანელოს აქტიური სტატუსის მქონე არაუმეტეს 3 დოქტორანტს. გამონაკლის შემთხვევაში სამეცნიერო ხელმძღვანელმა შეიძლება უხელმძღვანელოს აქტიური სტატუსის მქონე არაუმეტეს 5 დოქტორანტს. აღნიშნული დასაშვებია მაშინ, როდესაც სტატუსშეჩერებული დოქტორანტი მოითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარსადგენი დისერტაციის წარდგენის მიზნით. სამეცნიერო გრანტის/პროექტის პირობებიდან გამომდინარე შესაძლებელია დადგინდეს სამეცნიერო ხელმძღვანელისა და აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტების ამ პუნქტში მოცემული პირობებისგან განსხვავებული თანაფარდობა;

8. სამეცნიერო ხელმძღვანელი შესაბამისი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან ერთად კონსულტაციას უწევს დოქტორანტს სასწავლო და კვლევითი პროცესის დაგეგმვისას;

9. კვლევით პროცესში ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს დოქტორანტებთან კვლევის მეთოდოლოგიურ, სტრუქტურულ, კონცეპტუალურ და სხვა საკითხებზე. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება საკვლევი თემის სპეციფიკას და დოქტორანტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს დოქტორანტს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნება და სხვა;

10. სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებას, რაც გულისხმობს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის თანმიმდევრულად შესრულების პროგრესის პერიოდულ დაკვირვებას, დოქტორანტისთვის განმავითარებელი შეფასებისა და უკუკავშირის მიცემას;

11. თანახელმძღვანელი მხარდაჭერას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

12. სამეცნიერო ხელმძღვანელი ხელმძღვანელობაზე უარის თქმის შემთხვევაში სწავლის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებულ განცხადებას წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;
13. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი;
14. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელსა და სადისერტაციო თემის სათაურს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო დოქტორანტის ჩარიცხვიდან პირველი ორი სემესტრის განმავლობაში. სადისერტაციო თემის სათაურში ცვლილების შეტანის საკითხს განიხილავს ფაკულტეტის საბჭო;
15. ფაკულტეტის საბჭო იღებს გადაწვეტილებას რეცენზენტების გამოყოფის და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შერჩევის შესახებ.

მუხლი 8. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები

1. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები ხელს უწყობს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური, სამეცნიერო და პროფესიული საქმიანობისათვის **(დანართი №3).**
2. შესრულებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები წარმოადგენს დისერტაციის დასაცავად წარდგენის წინაპირობას.
3. დოქტორანტურის პროგრამის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს დარგობრივ სემინარს/სემინარებს, პროფესორის ასისტენტობას, კვლევის მეთოდოლოგიას და სხვა სასწავლო აქტივობებს.
სასწავლო კომპონენტი გულისხმობს შემდეგ აქტივობებს:
ა) მინიმუმ ერთი დარგობრივი სემინარი (10 კრედიტი, სავალდებულო);
ბ) პროფესორის ასისტენტობა (არანაკლებ 5 კრედიტი, სავალდებულო);
გ) კვლევის მეთოდოლოგია (არანაკლებ 5 კრედიტი, სავალდებულო);
დ) სხვა სასწავლო აქტივობები (სასწავლო კურსები/მოდულები, პრაქტიკა და სხვ.) განისაზღვრება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით.
4. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ტრანსფერული უნარების განვითარების გზით ან/და სფეროს აქტუალურ საკითხებზე/ტენდენციებზე
დოქტორანტის მიერ ცოდნის გაღრმავებით ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სათანადო ხარისხით განხორციელებას. ასევე, იძლევა მეთოდოლოგიურ მითითებებს კვლევითი კომპონენტის სათანადო დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.
5. თუ დოქტორანტი ამავდროულად არის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტი/მასწავლებელი ან მოწვეული პერსონალი, უძღვება სალექციო/პრაქტიკულ/სემინარულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებს, შესრულებული სამუშაო შესაძლებელია ჩაეთვალოს პროფესორის ასისტენტობაში ამ სტანდარტით პროფესორის

ასისტენტობისთვის განსაზღვრული სავალდებულო კრედიტების მინიმალური რაოდენობით (5 ECTS კრედიტი) იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სამუშაო შესრულდა ანაზღაურების გარეშე.
6. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი არის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია დისერტაციის, ასევე სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის/აქტივობის სახით.
კვლევითი კომპონენტი მოიცავს სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებულ ორ სამეცნიერო-კვლევით პროექტს, რომელიც სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას წარმოადგენს. დოქტორანტი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნის საფუძველზე წარუდგენს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს.
7. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ზეპირი განხილვა/პრეზენტაცია ტარდება პროგრამის ხელმძღვანელის, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის და ფაკულტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობით.
8. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხორციელდება ყოველი სემესტრის დასაწყისში დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით.
9. დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულების მიზნით, დოქტორანტისთვის იქმნება ინდივიდუალური კვლევის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს - კვლევის მიზანს, სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურის და კვლევის განხორციელების სავარაუდო განრიგს/გრაფიკს, კვლევის მეთოდოლოგიას და სხვა. კვლევის გეგმა მხარს უჭერს დოქტორანტის საკვლევი თემის შესაბამისად საქმიანობის წარმართვას და სადოქტორო ნაშრომის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დასრულებას.
10. დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად, შესაბამისი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან შეთანხმებით თვითონ ადგენს ინდივიდუალურ კვლევის გეგმას. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის, შესაბამისი დარგისა და დოქტორანტურის პროგრამის სპეციფიკაზე, ფაკულტეტის აკადემიურ პოტენციალსა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე.

თავი IV. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა, დაცვა და აკადემიური ხარისხის მინიჭება

მუხლი 9. დისერტაცია

1. დისერტაცია წარმოადგენს სამეცნიერო ნაშრომს, რომელსაც დოქტორანტი იცავს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.
2. დისერტაციის შედეგებს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დონეზე აქვს სამეცნიერო-კვლევითი მნიშვნელობა, არის ინოვაციური და პრაქტიკული/თეორიული ღირებულების მქონე.
3. დისერტაცია უნდა ასახავდეს კვლევის დასაბუთებულ შედეგებს და ქმნიდეს ახალ ცოდნას.
4. დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ, ინგლისურ და პროგრამის

განხორციელების ენებზე. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომია.
5. სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის საბჭო.
6. ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ და ინგლისურ ენაზე.
7. სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციას შეიმუშავებს ფაკულტეტი, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო **(დანართი № 5)**.

მუხლი 10. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია

1. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია უნდა ასახავდეს დისერტაციის ყველა კომპონენტს. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია შედგენილი უნდა იყოს ისე, რომ დაინტერესებულმა პირმა შეძლოს სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების გაცნობა.
2. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია უნდა შეიცავდეს სატიტულო ფურცელს. მასში ასახული უნდა იყოს: თემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი, კვლევის ობიექტი და მეთოდები, ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე, აგრეთვე ინფორმაცია დისერტაციის მოცულობისა და სტრუქტურის შესახებ. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებულ ვერსიაში გადმოცემული უნდა იყოს კვლევის ძირითადი შედეგები თავების მიხედვით და ზოგადი დასკვნები.
3. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებულ ვერსიაში აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი ავტორის მიერ გამოქვეყნებული მხოლოდ იმ ნაშრომების ნუსხა, რომელთა შინაარსი შეესაბამება სადისერტაციო ნაშრომის თემატიკას და შედის სადისერტაციო ნაშრომში.
4. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია აგრეთვე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ნაშრომის აპრობაციის შესახებ (როგორიცაა მოხსენებები კოლოკვიუმებზე, კონფერენციებზე, ფორუმებზე, სიმპოზიუმებზე, სემინარებზე).
5. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია უნდა ასახავდეს დისერტაციის ყველა კომპონენტს. ნაშრომის ზღვრული მოცულობა - 40 გვ. ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს გამოქვეყნებული ლიტერატურის ჩამონათვალი; Sylfaen-ის შრიფტი. ველები: მარჯვენა ველი - 1,5 სმ., მარცხენა ველი - 3 სმ., ზედა ველი - 2 სმ., ქვედა ველი - 2 სმ. ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა - 11; ტექსტის სტრიქონებს შორის მანძილი - 1.15.

მუხლი 11. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის პროცედურა

1. დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების მიზნით ფაკულტეტის მიერ ელექტრონულ პროგრამაში (მაგ.: e-Learning) საგანგებოდ გახსნილ ველში ტვირთავს სადისერტაციო ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას. პლაგიატის შემოწმების ანგარიში გადაეგზავნება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს, რომელიც აფასებს ნაშრომს და პლაგიატის არსებობაზე ეჭვის გაჩენის შემთხვევაში აცნობებს ფაკულტეტის ადმინისტრაციას. საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტის ადმინისტრაცია ქმნის აკადემიური კეთილსინდისიერების შემოწმების საგანგებო კომისიას და ნიშნავს პლაგიატის საკითხის განხილვის თარიღს.

2. აკადემიური კეთილსინდისიერების საგანგებო კომისია შედგება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის არანაკლებ 3 და არაუმეტეს 9 წევრისგან.

3. დოქტორანტი ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის 4 ბეჭდურ და 1 ელექტრონულ ვერსიას.

4. სადისერტაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განაცხადი, რომ სადისერტაციო ნაშრომი დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევის შედეგია და არ შეიცავს პლაგიატს/გაყალბებულ მონაცემებს **(დანართი №6);**

ბ) დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი ანგარიში **(დანართი №7);**

გ) ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული მოთხოვნებით შესრულებული დისერტაციის კვლევის შედეგები - დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია - ქართულ და ერთ-ერთ ევროპულ ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული).

დ) სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის საჯარო განხილვაზე დაშვების თაობაზე **(დანართი №8);**

ე) ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის წაყენებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე;

ვ) ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა სასწავლო კომპონენტის შესრულების, დაგროვილი კრედიტებისა და სემესტრების სრულად გავლის თაობაზე;

ზ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი და/ან რედაქტორის (რედკოლეგიის) მიერ გაცემული ცნობა გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო ნაშრომის შესახებ და ნაშრომის ბეჭდური ვერსია;

თ) სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (2018-2019 სასწავლო წლამდე ჩარიცხული დოქტორანტებისათვის, მაგ. საერთაშორისო რეცენზირების შემთხვევაში **იხ. დანართი №4);**

ი) ამონაწერი შესაბამისი კათედრის სხდომის ოქმიდან დისერტაციის წინასწარი განხილვის (აპრობაციის) შესახებ;

5. სადისერტაციო მასალების წარდგენის შემდგომ ფაკულტეტის საბჭო ერთი თვის ვადაში მსვლელობას აძლევს საქმის წარმოებას.

6. დოქტორანტი თავისუფლდება სწავლის საფასურის გადახდისგან თუ დისერტაციას წარმოადგენს სემესტრის ადმინისტრაციული/აკადემიური რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში.
7. თუ დოქტორანტი დისერტაციას წარმოადგენს სემესტრის საგამოცდო პერიოდის ვადებში, ის თავისუფლდება მომდევნო სემესტრის სწავლის საფასურის გადახდისგან.

მუხლი 12. საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების ვალდებულება

1. დისერტაციის დაცვის აუცილებელი პირობაა სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული შემდეგი სახის ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება - რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის ბაზებში.
2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური დოქტორანტს საორიენტაციოდ აწვდის ინფორმაციას საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნებისათვის სფეროს სპეციფიკის შესაბამის საერთაშორისო ინდექსის მქონე სამეცნიერო გამოცემების/ბაზების შესახებ.
3. დისერტაციის დაცვის აუცილებელი პირობაა სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება. ორივე სამეცნიერო პუბლიკაცია უნდა იყოს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის შედეგი (თანაავტორების გარეშე).

მუხლი 13. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები

1. ფაკულტეტი გამოყოფს არანაკლებ ორ რეცენზენტს, მათ შორის, ადგილობრივ და საერთაშორისო რეცენზენტს (საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნა სავალდებულო არ არის თუკი დოქტორანტს ჰყავს საერთაშორისო ხელმძღვანელი), რომელთაც ეგზავნებათ სადისერტაციო ნაშრომი. ერთ-ერთი რეცენზენტის მიერ უარყოფითი დასკვნის წარდგენის შემთხვევაში ინიშნება ახალი რეცენზენტი. რეცენზენტთა შემადგენლობა მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით.
2. ანონიმურობის დაცვის მიზნით, რეცენზენტების დამტკიცების საკითხი ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე განიხილება დახურულ ფორმატში და ამ საკითხთან დაკავშირებული გადაწყვეტილება არ ქვეყნდება საჯაროდ. გარდა სხვა მარეგულირებელი აქტებით დადგენილი საფუძვლებისა, განხილვაში მონაწილეობის აცილების საფუძველს წარმოადგენს დოქტორანტის სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელობა.

3. რეცენზენტს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში/სპეციალობაში/მიმართულებაში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.
4. ადგილობრივი რეცენზენტი არის ადგილობრივი უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
5. საერთაშორისო რეცენზენტი არის უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
6. რეცენზენტების შერჩევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ანონიმურობა[1], რაც ხელს უწყობს მიუკერძოებელი, სამართლიანი და ობიექტური დასკვნის მომზადებას;
7. რეცენზენტი ვალდებულია, შესაბამისი ფაკულტეტის მიერ დისერტაციის გადაცემიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის ვადაში გაეცნოს სადისერტაციო ნაშრომს და წარუდგინოს რეცენზია ფაკულტეტს.
8. რეცენზენტი დასკვნას (რეცენზიას) წარადგენს დადგენილი რეცენზიის ფორმის შესაბამისად **(დანართი №9).**
9. ორი რეცენზენტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტი არ დაიშვება დაცვაზე და მას მიეცემა სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის უფლება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში.
10. რეცენზენტის მოძიების, დანიშვნისა და მისი საქმიანობის მექანიზმები განისაზღვრება ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით.

თავი V. სადისერტაციო ნაშრომის დაცვისა და შეფასების პროცედურები

მუხლი 14. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის ფორმირების წესი

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 7 წევრისგან. დაცვის კომისიის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი სფეროს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, რომელთა

[1] ანონიმურობა გულისხმობს, რეცენზიის გაცნობამდე დოქტორანტისთვის ან/და მისი ხელმძღვანელისთვის/თანახელმძღვანელისთვის რეცენზენტის ვინაობის კონფიდენციალურობას.

კვალიფიკაცია და კომპეტენცია იძლევა ნაშრომის სიღრმისეულად და სრულყოფილად შეფასების და კვლევის ორიგინალობისა და მისი შედეგების შეფასების შესაძლებლობას.

2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში არანაკლებ 1 წევრი უნდა იყოს შესაბამისი სფეროს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი საქართველოდან, რომელსაც უნივერსიტეტში არ უკავია აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა. სფეროს თავისებურების გათვალისწინებით, დაცვის კომისიის შემადგენლობაში საჭიროების შემთხვევაში შედიან - შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის საერთაშორისო შემფასებელი/შემფასებლები, სამთავრობო/არასამთავრობო სექტორის, შრომის ბაზრის წარმომადგენელ(ებ)ი.

3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრს უნდა ჰქონდეს შესაბამისი პუბლიკაციები დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში.

4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრს და დოქტორანტს ან დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს შორის არ შეიძლება არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი. ამასთან, ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს კანონი - ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-2 ნაწილითა და 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა.

5. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მუშაობაში არ მონაწილეობს დოქტორანტის ხელმძღვანელი (არსებობის შემთხვევაში თანახელმძღვანელი).

6. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება კომისიური წესით სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ. თითოეული სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის მიზნით, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო ამტკიცებს დაცვის კომისიას, წარდგინების მიღებიდან 45 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 15. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის უფლებამოსილება

ა) ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს;

ბ) შეარჩევს დაცვის თარიღს და წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;

გ) უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურის ჩატარებას;

დ) მოქმედი კანონმდებლობითა და საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებული წესით აფასებს სადისერტაციო ნაშრომს;

ე) უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურის ხელახლა ჩატარებას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის სააპელაციო კომისიის მიერ პროცედურული დარღვევების გამოვლენის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე შესაბამისი მითითებით;

ვ) დაცვის კომისიის წევრები, დისერტაციის დადებითად რეცენზირების შემთხვევაში, არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში ეცნობიან ფაკულტეტის მიერ გადაცემულ სადისერტაციო ნაშრომს.

მუხლი 16. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მუშაობის წესი

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის საქმიანობა წარიმართება წინამდებარე დებულების შესაბამისად.
2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე. სხდომა უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.
3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანი უზრუნველყოფს შესაბამისი კომისიის ორგანიზაციულ საქმიანობას:
ა) აწარმოებს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ოქმს;
ბ) ეხმარება კომისიის თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში;
გ) ხელმძღვანელობს კომისიის საქმისწარმოებას;
დ) უზრუნველყოფს დაცვის კომისიის მიერ წარმოებული დოკუმენტაციის მიწოდებას ფაკულტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.

მუხლი 17. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის რეგლამენტი

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომაზე სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე აცხადებს დისერტანტის ვინაობას და დისერტაციის თემას, რეცენზენტების ვინაობას და კომისიას აცნობს დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, დისერტაციის დაცვის პროცედურას და დოქტორანტის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს.
2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომას უნდა ესწრებოდეს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ასევე რეცენზენტები.
3. იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრება ერთ-ერთი რეცენზენტი, რეცენზია მთლიანად უნდა იქნეს წაკითხული დაცვის მსვლელობისას.
4. იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, მან კომისიას უნდა გაუგზავნოს მოხსენებითი ბარათი დოქტორანტის აკადემიური დახასიათებით.
5. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით ვერ გავიდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომაზე, ან სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის ქვორუმი არ შედგა, ან დაცვა არ შედგა დოქტორანტისაგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზების გამო, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ განისაზღვრება დაცვის ახალი თარიღი და დასამტკიცებლად წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს. დამატებითი სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომა გონივრულ ვადაში.

6. დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო დისკუსიას და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნას (შეფასებას).
7. დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაცია გულისხმობს დოქტორანტის მოხსენებას – თემის წარმოდგენას.
8. ნაშრომის პრეზენტაციისას დისერტანტმა უნდა გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა - მაგალითად: სლაიდები, პლაკატები, ვიდეო-კინო გასაშვები ტექნიკა და ა.შ.
9. ნაშრომის პრეზენტაციის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე კომისიას გააცნობს რეცენზენტთა რეცენზიებს. იწყება რეცენზენტების პაექრობა დოქტორანტთან, რის შემდეგაც სიტყვა ეძლევა დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელებს).
10. იმართება სამეცნიერო დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა შეუძლიათ როგორც კომისიის წევრებს, ისე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებს. დოქტორანტი უპასუხებს დამწრეთა მიერ დასმულ შეკითხვებს.
11. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად გადაწყვეტილებას იღებს კონფიდენციალურად დახურულ სხდომაზე.

მუხლი 18. დისერტაციის დაცვა

1. დისერტაციის დაცვა არის საჯარო და ღია. ინფორმაცია მის შესახებ ქვეყნდება ფაკულტეტის ვებგვერდზე დისერტაციის დაცვამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.
2. დისერტაციის დაცვის ენა არის ქართული, თუ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.
3. სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა ან/და დაცვის პროცედურები ითვალისწინებს სადისერტაციო ნაშრომზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე დაწესებულების (ადგილობრივი ან/და უცხოური უნივერსიტეტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), ადგილობრივი და საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნებს.
4. დისერტაციის დაცვის პროცესზე ვიდეოგადაღება სავალდებულოა, რომელსაც ფაკულტეტი უზრუნველყოფს.
5. დაცვის რეგლამენტი განისაზღვრება საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებით.
6. იმ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, რომელთა დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ უნივერსიტეტის და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხი, შესაძლებელია არსებობდეს დისერტაციის დაცვის განსხვავებული რეგლამენტი, რომელსაც შეიმუშავებენ მხარეები და ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო.
7. დისერტაციის დაცვის პროცედურების გასაჩივრება ხდება უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად **(დანართი N12).**

მუხლი 19. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის სააპელაციო კომისია

1. დისერტაციის დაცვის პროცედურების გასაჩივრების მიზნით საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული სააპელაციო კომისია შედგება შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ან/და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლებისგან.
2. სააპელაციო კომისიის შემადგენლობა შეირჩევა ფაკულტეტის საბჭოს მიერ.
3. სააპელაციო კომისიის წევრს და დოქტორანტს/დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს შორის არ შეიძლება არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს კანონი - ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-8 მუხლის მე-2 ნაწილითა და 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა.
4. სააპელაციო კომისია თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს ირჩევს თავისი შემადგენლობიდან.
5. სააპელაციო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან.
6. სხდომას უძღვება კომისიის თავმჯდომარე. მისი არყოფნის შემთხვევაში – მოადგილე. კომისიის მდივნის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მის ფუნქციებს კომისიის თავმჯდომარის დავალებით ასრულებს კომისიის ერთ-ერთი წევრი.
7. სააპელაციო კომისიის სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 20. დისერტაციის შეფასება

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.
2. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით:
ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი - შეფასების 91-100 ქულა.
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა.
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა.
დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა.
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა.

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები.
3. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი.
5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
6. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს კომისიის დასკვნას (შეფასებას) აცნობს ზეპირად.

მუხლი 21. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს გადაეცემა შეფასებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში და ასევე განთავსდება შესაბამის ელექტრონულ სივრცეში, PDF ფორმატის სახით. ამასთან, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაციას განეკუთვნება:
ა) სადისერტაციო ნაშრომის ერთი ეგზემპლარი;
ბ) დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია;
გ) დოქტორანტის განაცხადი;
დ) დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი ანგარიში;
ე) სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა;
ვ) ცნობა სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის წაყენებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე;
ზ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი და/ან რედაქტორის (რედკოლეგიის) მიერ გაცემული ცნობა გამოსაქვეყნებლად მიღებული სტატიის შესახებ და ნაშრომის ბეჭდური ვერსია;
თ) სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (2018-2019 სასწავლო წლამდე ჩარიცხული დოქტორანტებისათვის);
ი) რეცენზენტების დასკვნები (რეცენზიები);
კ) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ოქმი.

მუხლი 22. ხარისხის მინიჭება და სადისერტაციო ნაშრომის გამოქვეყნების ვალდებულება

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და დისერტაციის დაცვის შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი, რომლის დასახელება უნდა განისაზღვროს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად.

2. დოქტორანტს დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო შესაბამისი დებულების მოთხოვნათა დაცვით.
3. დიპლომს ხელს აწერენ უნივერსიტეტის რექტორი, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და ფაკულტეტის დეკანი.
4. ფაკულტეტი ვალდებულია, დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდეგ ერთი თვის ვადაში გადასცეს დისერტაცია ელექტრონული ფორმით უნივერსიტეტის გამომცემლობას, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას. ამავე ვადაში დისერტაციის თითო ბეჭდური და ელექტრონული ეგზემპლარი უნდა გადაეცეს საუნივერსიტეტო და ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკებს.

მუხლი 23. გარდამავალი დებულებები

1. 2018-2019 სასწავლო წლამდე ჩარიცხული დოქტორანტებისთვის დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაცია, რაც განხორციელდება უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტისა და ფაკულტეტების შესაბამისი დებულებებით, რომლებიც მოქმედებდა დოქტორანტების ჩარიცხვის მომენტისთვის.
2. ამ დებულების მე-13 მუხლით (**სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები**) დადგენილი მოთხოვნები ვრცლდება 2024 წლის 30 აგვისტოდან ჩარიცხულ დოქტორანტებზე.
3. 2024 წლის 30 აგვისტომდე ჩარიცხული დოქტორნატებისთვის:
ა) ფაკულტეტის საბჭო სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირების მიზნით გამოყოფს არანაკლებ ორ რეცენზენტს, რომელთაც შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო. ერთ-ერთი რეცენზენტის მიერ უარყოფითი დასკვნის წარდგენის შემთხვევაში ინიშნება ახალი რეცენზენტი;
ბ) რეცენზენტს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში/სპეციალობაში/მიმართლებაში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები;
გ) რეცენზენტი ვალდებულია, შესაბამისი ფაკულტეტის მიერ დისერტაციის გადაცემიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის ვადაში გაეცნოს სადისერტაციო ნაშრომს და წარუდგინოს რეცენზია ფაკულტეტს;
დ) რეცენზენტი დასკვნას (რეცენზიას) წარადგენს დადგენილი რეცენზიის ფორმის შესაბამისად;
ე) ორი რეცენზენტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტი არ დაიშვება დაცვაზე და მას მიეცემა სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის უფლება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში.
4. სამეცნიერო ხელმძღვანელს უფლება აქვს უხელმძღვანელოს დოქტორანტს ამ დებულების მე-7 მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებით, იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტისთვის სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლა სავალდებულო გახდა აღნიშნული დებულებით განსაზღვრული მოთხოვნების საფუძველზე“.

დანართი №2

უცხო ენის B1 დონეზე ცოდნის განმარტება
„ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“,
ALTE–ს (Association of Language Testers in Europe) (www.alte.org) და CEFRL (Common European Framework of Reference for Languages) (www.languagetesting.com) მიხედვით

B1 დონე
საშუალო დონის სირთულის სტანდარტული ენის გამოყენებისას და ნაცნობ თემებზე, სამუშაოს, სკოლის, დასვენებებისა და ა. შ. სფეროებიდან მთავარი საკითხების გაგების უნარი. მოგზაურობისას წარმოშობილ უმეტეს ენობრივ სიტუაციასთან გამკლავების უნარი. ნაცნობ თემებსა და პიროვნულ ინტერესებზე გამართულად და თანმიმდევრულად საუბრის უნარი. გამოცდილებებისა და მოვლენების გადმოცემის, ოცნებების, იმედებისა და მიზნების აღწერისა და გეგმებისა და შეხედულებების შესახებ მოკლე არგუმენტაციის ან ახსნის უნარი.

მოსმენა
შეუძლია გაიგოს სტანდარტული მეტყველების ძირითადი აზრი მისთვის ნაცნობ თემებზე, რომლებიც ეხება სამუშაოს, დასვენებას, მოგზაურობას, და სხვა; შეუძლია გაიგოს გასაგები სტანდარტული ნელი მეტყველებით ტრანსლირებული რადიო და ტელეგადაცემების ძირითადი აზრი მიმდინარე მოვლენებზე, მისთვის ნაცნობ, პირადი ან პროფესიული ინტერესების სფეროსთან დაკავშირებულ თემატიკაზე; შეუძლია გაიგოს საშუალო სირთულის ტექნიკური ინფორმაცია, როგორიცაა ყოფითი ტექნიკის ინსტრუქცია, შეუძლია მისდიოს და გაიგოს დეტალური მითითებები; მისდიოს ლექციის ძირითად საკითხებს მისთვის ნაცნობ თემებზე, იმ პირობით რომ ლექციის პრეზენტაცია არის გასაგებად სტრუქტურირებული და უშუალოდ ეხება საკითხს.

კითხვა
შეუძლია მოიძიოს და გაიგოს რელევანტური ინფორმაცია ყოველდღიურ კორესპონდენციაში, როგორიცაა წერილები, ბროშურები და ოფიციალური დოკუმენტები; შეუძლია წაიკითხოს მისი ინტერესების სფეროსთან დაკავშირებული ფაქტობრივი ტექსტები გაგების საშუალო დონით; შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს მოვლენების აღწერა, გრძნობების და სურვილების აღწერა წერილებში საკმარისად კარგად იმისათვის, რომ აწარმოოს მიმოწერა; შეუძლია გრძელი ტექსტის სკანირება და სასურველი ინფორმაციის მოძიება და შეგროვება, ან სხვადასხვა ტექსტებიდან საჭირო ინფორმაციის მოგროვება სპეციფიკური დავალების შესასრულებლად.

საუბარი
შეუძლია თავისუფლად და მოკლედ ჩამოაყალიბოს და დაასაბუთოს საკუთარი აზრები და შეხედულებები, თავი გაართვას ყოფით სიტუაციებს და წინასწარი მომზადების გარეშე ჩაერთოს საუბარში; შეუძლია მოთხრობის, წიგნის ან ფილმის ძირითადი მოკლე შინაარსის გადმოცემა და საკუთარი რეაქციების აღწერა; შეუძლია პირადი გამოცდილების, შეგრძნებების და რეაქციების დეტალური გადმოცემა; შეუძლია მოულოდნელი (არადაგეგმილი) შემთხვევების დეტალური გადმოცემა; შეუძლია აღწეროს ოცნებები, იმედები და სურვილები, აღწეროს რეალური ან წარმოსახვითი მოვლენები.

წერა

შეუძლია ნაცნობ თემატიკაზე გაბმული ტექსტის დაწერა ცალკეული მოკლე მონაკვეთების სწორხაზოვანი თანმიმდევრული დალაგებით, როგორც მისი ინტერესების სფეროდან, ასევე დავალების სახით; შეუძლია დაწეროს საკუთარი გამოცდილების, შეგრძნებებისა და რეაქციების აღწერა საშიალო დონის გაბმული ტექსტის სახით; შეუძლია დაწეროს რეალური ან წარმოსახვითი მოვლენის ან მოგზაურობის შესახებ; შეუძლია დაწეროს მოკლე მოთხრობა, მოკლე, საშუალო სირთულის ესსე მისი ინტერესების სფეროდან, ასევე შეუძლია შეაჯამოს მოხსენების სახით და წერილობით ჩამოაყალიბოს საკუთარი შეხედულება შეგროვილ ფაქტობრივ ინფორმაციაზე ყოფით ან სხვა საკითხებზე მისი ინტერესების სფეროდან გარკვეული დონის თავდაჯერებულობით.

B1 დონის შესაბამისი საერთაშორისო გამოცდები (სერტიფიკატების და ქულების ნუსხა)

გერმანული ენა	Zertifikat Deutsch at the Goethe Institute
	Österreichischen Sprachdiplom Deutsch
	Zertifikat Deutsch –B1
ინგლისური ენა	PET- Preliminary English Test ქულა - Pass with merit
	IELTS - ქულა 4.5 - 5.0
	TOEFL (IBT) - ქულა 58-65
ფრანგული ენა	DELF - B1
	TCF - B1

უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტება

„ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“,
ALTE–ს (Association of Language Testers in Europe) (www.alte.org) და CEFRL (Common European Framework of Reference for Languages) (www.languagetesting.com) მიხედვით

ALTE B2

უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტება „ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“, ALTE–ს (Association of Language Testers in Europe) მიხედვით (www.alte.org) ALTE B2 – მესამე დონე (აკადემიური სფერო). მესამე დონე ითვლება ენის ფლობის საშუალო დონედ. ენის ამ დონეზე მცოდნეს უკვე შეუძლია თავი გაართვას ენის ძირითად სტრუქტურას და გამოიყენოს სხვადასხვა სიტუაციის შესაბამისი კომუნიკაციის სტრატეგიები. იგი ფლობს ფართო ლექსიკას. მოსმენისას და კითხვისას იგი სცილდება ფაქტობრივი ინფორმაციის ცალკეული პუნქტების გაგებას, შეუძლია განასხვავოს ძირითადი და მეორეხარისხოვანი საკითხები, ტექსტის ზოგადი თემა და სპეციფიკური დეტალები. სხვადასხვა ტიპის ტექსტის წერისას მას შეეძლია როგორც არგუმენტის ჩამოყალიბება, ასევე მოვლენების აღწერა და თხრობა. ენის ამ დონეზე მცოდნეს გარკვეულწილად თავისუფლად შეუძლია სხვადასხვა კონტექსტში ენის გამოყენება. მას მეტად აქვს განვითარებული მოქნილობა და უნარი, რათა შეძლოს მოულოდნელ სიტუაციაში რეაგირება და ნაკლებად ეყრდნობა უცვლელ ენობრივ ერთეულებს და მოკლე ფრაზებს. იგი უკვე კარგად ხვდება, როგორ უნდა დაიცვას თავაზიანობის ის ნორმები, რომლებიც ენობრივად არის განსაზღვრული და როგორ უნდა საუბრობდეს ოფიციალურ სიტუაციაში. B2 დონის გამოცდა გამოიყენება იმის დასამტკიცებლად, რომ ამ დონეზე ენის მცოდნე მზად არის შეასრულოს საოფისე სამუშაო და გაიაროს არააკადემიური კურსი იმ ენაზე, რომელსაც სწავლობს (მაგალითად იმ ქვეყანაში, სადაც ამ ენაზე ლაპარაკობენ). ამ დონეზე ენის მცოდნეს უნდა შეეძლოს ენის გამოყენება სამოხელეო, სამდივნო და მენეჯრის პოზიციებზე და ზოგიერთ სფეროში განსაკუთრებით ტურიზმში.

B2 -ის მიხედვით ენის გამოყენების თვისებრივი ასპექტები შემდეგია:

დიაპაზონი	სიზუსტე	გაბმულობა	ინტერაქცია	კოჰეზია
აქვს საკმაო ლექსიკური მარაგი, რათა შეძლოს გასაგებად და გაბმულად, რთული სინტაქსური კონსტრუქციებით, წყვეტის (სიტყვების ძებნის) გარეშე გამოხატოს თვალსაზრისი.	ავლენს გრამატიკის ცოდნის საკმაოდ მაღალ დონეს, არ უშვებს შეცდომებს, რომლებიც იწვევენ გაუგებრობას და თავადვე ასწორებს საკუთარი შეცდომების დიდ ნაწილს.	შეუძლია გაბმულად ისაუბროს საშუალო ტემპით, დასაშვებია მცირე შეფერხება გამოთქმების 'შერჩევისას' და იშვიათად გრძელი პაუზის გამოყენება.	შეუძლია წამოიწყოს დისკუსია, დაიცვას რიგითობა და დაასრულოს საუბარი, როდესაც ჩათვლის საჭიროდ, თუმცა შეიძლება ამ პროცესში დაუშვას შეცდომები. შეუძლია წამოიწყოს და წარმართოს დისკუსია მისთვის ნაცნობ საკითხებზე, ა.შ.	შეუძლია კოჰეზიური საშუალებების შეზღუდული რაოდენობის გამოყენება და გასაგები, კოჰერენტული დისკურსის ჩამოყალიბება, თუმცა დასაშვებია გარკვეული შეცდომებიც.

მოსმენა

შემსწავლელს შეუძლია სალიტერატურო ნორმების ფარგლებში მეტყველების (ცოცხალი თუ ჩანაწერი) გაგება მისთვის ნაცნობ ან უცნობ თემებზე პირადი, საზოგადოებრივი, საგანმანათლებლო და პროფესიული სფეროებიდან. მხოლოდ ძლიერ ფონურ ხმაურმა ან არასწორად აგებულმა დისკურსმა ან/და რთულ იდიომატურ ერთეულთა გამოყენებამ შეიძლება იქონიოს გავლენა ნათქვამის გაგებაზე. შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ლექცია მისთვის ნაცნობ თემაზე, ასევე შინაარსობრივად და ენობრივად რთული მოხსენების ძირითადი არსის გაგება, თუკი ამ მოხსენების თემატიკა მისთვის გარკვეულწილად ცნობილია. შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მიმდინარე აქტუალურ მოვლენებზე ტელე/რადიო გადაცემების ძირითადი შინაარსი. შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ჩვეულებრივი ტემპით წარმოთქმული განცხადება აბსტრაქტულ თემებზე.

კითხვა

შემსწავლელს შეუძლია კონკრეტულ და აბსტრაქტულ თემებზე შექმნილი კომპლექსური ტექსტების მთავარი აზრის გაგება; შეუძლია იკითხოს დამოუკიდებლად, შეცვალოს და მიუსადაგოს კითხვის სტილი და ტემპი ტექსტის ტიპსა და კითხვის მიზანს, სწორად შეარჩიოს და გამოიყენოს შესაბამისი დასამოწმებელი წყაროები. აქვს ფართო და აქტიური ლექსიკური მარაგი, მაგრამ შეიძლება შეექმნას პრობლემა იშვიათად გამოყენებული იდიომების დეკოდირებისას. შეუძლია წაიკითხოს და კარგად აღიქვას საკუთარ ინტერესებთან ან სპეციალობასთან დაკავშირებული კორესპოდენციის ძირითადი აზრი; სწრაფად ამოიცნოს ახალი ამბების შინაარსი და მნიშვნელობა; შეუძლია გაიგოს გრძელი, რთული მითითებების არსი საკუთარი სპეციალობის ფარგლებში, ცალკეულ შემთხვევებში საჭირო ხდება რთული მონაკვეთების განმეორებით გადაკითხვა ან ლექსიკონის დახმარება. შეუძლია მოიძიოს ინფორმაცია, აღიქვას საკუთარი სპეციალობის სპეციფიკური წყაროების ძირითადი აზრი; ლექსიკონზე დაყრდნობით და ტერმინოლოგიის საკუთარი ინტერპრეტაციის დასადასტურებლად შეუძლია გაიგოს სამეცნიერო სტატიების აზრი მეცნიერების სხვა მიმართულებებიდანაც; შეუძლია წაიკითხოს სტატიები და მოხსენებები, რომლებიც გამოხატავენ გარკვეული თანამედროვე პრობლემის შესახებ ავტორის აზრს.

საუბარი

შემსწავლელს აქვს სპონტანურად და თავისუფლად კონტაქტში შესვლის უნარი, ისე რომ უცხოენოვან მოსაუბრესთან დიდი ძალისხმევის გარეშე ორმხრივად კარგად წარიმართოს საუბარი. შემსწავლელს აქვს ფართო სპექტრის თემებზე გასაგებად და დეტალურად საუბრის, აქტუალურ საკითხზე საკუთარი პოზიციის გამოხატვისა და სხვადასხვა შესაძლებლობების, პრიორიტეტებისა და ნაკლოვანებათა განმარტების უნარი. შემსწავლელმა შესაძლოა წინადადების აგებისას დაუშვას უმნიშვნელო შეცდომები, რომელთა აღმოფხვრა თვითონვე შეუძლია.

წერა

შემსწავლელს შეუძლია დაწეროს წერილი, ესე, რომელშიც გამოკვეთს მოვლენებისადმი პირად დამოკიდებულებას და აღწერს პირად გამოცდილებას. შეუძლია შექმნას გასაგები, დეტალური ინფორმაციის შემცველი, სტრუქტურირებული ტექსტი მისთვის საინტერესო საკითხზე, გადასცეს

ინფორმაცია ან დაასაბუთოს საკუთარი დადებითი ან უარყოფითი თვალსაზრისი გარკვეული პრობლემის შესახებ. შემსწავლელს შეუძლია სხვადასხვა წყაროდან მომდინარე ინფორმაციისა და არგუმენტების შეფასება და მათი სინთეზის საშუალებით ტექსტის დაწერა.

B2 დონის შესაბამისი სერტიფიკატების და ქულების ნუსხა

გერმანული ენა	Goethe - Zertifikat B2					
	Deutsches Sprachdiplom (DSD)					
	TestDaF-Niveaustufe 3* (TDN 3)					
	DSH 1					
	UNIcert II					
	telc B2					
ინგლისური ენა	**TOEFL Paper**	**TOEFL CBT**	**TOEFL IBT**	**IELTS**	**FCE**	**CERTUS**
	513 - 547	183 - 210	65 - 78	5.5 – 6.5	161 -180	72 -88,25
ფრანგული ენა	Diplôme d'Etudes en Langue Française DELF B2 (51-დან)					

ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების B2 (ALTE/CEFR) დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატები (ვადიანი/უვადო) ათავისუფლებს კანდიდატს შესაბამის ენაში გამოცდიდან. სერტიფიკატის აღიარება და გამოცდიდან გათავისუფლება ხორციელდება თსუ ენების შემსწავლელი ცენტრის მიერ.

ამ ენებში გამოცდიდან ასევე თავისუფლდებიან კანდიდატები, რომელთაც მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საფეხური გავლილი აქვთ ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენაზე ბოლო 2 წლის განმავლობაში. შესაბამის პროცედურას უზრუნველყოფს და გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

უცხო ენის C1 დონეზე ცოდნის განმარტება

„ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“, ALTE–ს (Association of Language Testers in Europe) (www.alte.org) და CEFRL (Common European Framework of Refernce for Languages) (www.languagetesting.com) მიხედვით

C1 ზოგადი დახასიათება

C1 დონე შეესაბამება ენის ფლობის უმაღლეს დონეს და გულისხმობს სამსახურსა და სწავლასთან დაკავშირებული რთული დავალებების ეფექტურ გადაჭრას. უფრო დაწვრილებით, CEFRL მიხედვით, C1 დონე გულისხმობს:

დიდი ზომის, რთული ტექსტების გაგებას და სრულყოფილად აღქმას, სიღრმისეული, იმპლიციტური ინფორმაციის დეკოდირებას. აზრის სპონტანურ და ძალდაუტანებელ გამოხატვას, კონტექსტისათვის შესაბამისი გამონათქვამის შერჩევას შესამჩნევი შეყოვნების გარეშე. ენის ეფექტურ გამოყენებას სოციალური, აკადემიური და პროფესიული მიზნებისათვის. ადვილად გასაგები, კარგად სტრუქტურირებული, დეტალიზებული ტექსტის შექმნის უნარს რთულ და კომპლექსურ თემებზე, რომელიც დაფუძნებული იქნება მართებულ და ადეკვატურ ტექსტის მაორგანიზებელ ერთეულებზე, მაკავშირებლებსა და კოჰეზიურ საშუალებებზე.

მოსმენა

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ვრცელი საუბარი აბსტრაქტულ, რთულ, მისთვის ნაკლებად ცნობილ თემებზე, თუმცა შეიძლება დასჭირდეს გარკვეული დეტალების დაზუსტება, მით უფრო, თუ მოსაუბრის აქცენტი მისთვის ნაკლებად ცნობილია; შემსწავლელი ფლობს იდიომატური და კოლოკვიალური გამოთქმების დიდ რაოდენობას და გრძნობს რეგისტრის ცვალებადობას. მას შეუძლია რთული ტექნიკური ინფორმაციის აღმა და გაგება, რთული და დიდი მოცულობის მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტები და მათი სტილური თავისებურებები; ასევე კონკრეტული ინფორმაციის გაგება საზოგადოებრივ ადგილებში მიწოდებული განცხადებებიდან ხმაურისა და ცუდი სმენადობის მიუხედავად; ტელე- და რადიოგადაცემების/სხვადასხვა პროგრამის/ფილმების მცირე ნიუანსების თითქმის თავისუფლად გაგება ენის არასტანდარტული გამოყენების პირობებშიც კი. შემსწავლელს დაუბრკოლებლად შეუძლია გაიგოს რთული მსჯელობა ჯგუფური განხილვის/დისკუსიის დროს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც თემა მისთვის უცნობია. შემსწავლელს შეუძლია გაიგოს სხვადასხვა სახისა და შინაარსის ტექსტები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც არასალიტერატურო ენითაა წარმოთქმული ან შეიცავს უცხო ტერმინოლოგიას.

კითხვა

შემსწავლელს შეუძლია დაწვრილებით გაიგოს დიდი მოცულობისა და რთული მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტი/ვრცელი ინსტრუქცია იმის მიუხედავად, მიეკუთვნება თუ არა ისინი მისი ინტერესების/პროფესიული საქმიანობის სფეროს. ცალკეულ შემთხვევებში საჭირო ხდება რთული მონაკვეთების გამეორებით გადაკითხვა ან ლექსიკონის დახმარება. შემსწავლელს შეუძლია ყველა სტილის (არქაული ფორმების ჩათვლით) წერილობითი კომუნიკაციის შედეგად წარმოქმნილი ენობრივი ერთეულის გაგება და სწორი ინტერპრეტაცია. ასევე, შეუძლია სწორად გაიგოს ვრცელი, რთული ტექსტი სოციალურ, პროფესიულ და ზოგადსამეცნიერო პრობლემებზე; კერძოდ, აღიქვას ურთიერთდამოკიდებულებებისა და თვალსაზრისების ფარული და ექსპლიციტური ნიუანსები.

მეტყველება

შემსწავლელს შეუძლია საკუთარი აზრის გამოხატვა თავისუფლად, მოუმზადებლად, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე. იგი ფლობს მრავალფეროვან ლექსიკურ საშუალებებს, რომელიც აძლევს საშუალებას სიტყვა ხატოვნად ახსნას ან მისი განმარტებით/სინონიმით ჩაანაცვლოს, ეფექტურად გამოიყენოს სხვადასხვა იუმორისტული და სტილისტური ხერხი; ზოგჯერ რთულ თემატიკას შეუძლია დააბრკოლოს საუბრის დონის შესაფერის დონეზე წარმართვა. შემსწავლელს შეუძლია სპეციფიკური დებულებების კრიტიკული ანალიზი; საუბარი/პრეზენტაცია/მოხსენება ამ დებულების სხვადასხვაგვარ განვითარებაზე ადეკვატურ მაგალითებზე დაყრდნობითა და მსჯელობით; პრეზენტაცია რთულ თემაზე. შეუძლია სხარტად და თავისუფლად უპასუხოს შეკითხვებს და ადეკვატურად იმოქმედოს იმ შემთხვევაშიც, თუ მას საუბარს შეაწყვეტინებენ; შეუძლია დიალოგის წარმართვაც. იგი მუდმივად იცავს გრამატიკული სისწორის დონისათვის შესაფერის გრამატიკულ ნორმებს; იშვიათად უშვებს შეცდომებს, ხოლო შეცდომის დაშვები სშემთხვევაში, სწრაფადვე ასწორებს მას. მას ასევე შეუძლია შინაარსის სიზუსტის დაცვისათვის სწორი მახვილისა და ინტონაციის გამოყენება.

წერა

შემსწავლელს შეუძლია კარგად სტრუქტურირებული, ორგანიზებული, ნათლად ფორმულირებული ტექსტის დაწერა განსხვავებული, დონის შესაფერისი ადეკვატური ენობრივი საშუალებისა თუ კონტექსტისათვის რელევანტური სტილისა და რეგისტრის გამოყენებით, მაგალითებისა და არგუმენტების მოშველიებით. შემსწავლელს ასევე შეუძლია მკაფიოდ და ზუსტად გამოხატოს საკუთარი აზრი არაოფიციალური სტილის/რეგისტრის ტექსტებსა თუ პირად წერილებში, სწორად შეარჩიოს და გამოიყენოს ენობრივი მასალა სხვადასხვა განწყობის, ემოციისა და მინიშნებების გადმოსაცემად. დასაშვებია მცირე უზუსტობები.

C1დონის შესაბამისი სერტიფიკატების და ქულების ნუსხა

გერმანული ენა	Goethe - Zertifikat C1					
	Deutsches Sprachdiplom (DSD) Stufe 2 (C 1)					
	TestDaF- Niveaustufe 4 (TDN 4)					
	DSH 2					
	UNIcert III					
	telc C1					
ინგლისური ენა	**TOEFL Paper**	**TOEFL CBT**	**TOEFL IBT**	**IELTS**	**CAE**	**CERTUS**
	590 - 637	243 - 270	82 - 90	7 - 8	181-200	88,25-100
ფრანგული ენა	Diplôme d’Etudes en Langue Française DALF C1 (51-დან)					

ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების C1 (ALTE/CEFR) დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატები (ვადიანი/უვადო) ათავისუფლებს კანდიდატს შესაბამის ენაში გამოცდიდან. სერტიფიკატის აღიარება და გამოცდიდან გათავისუფლება ხორციელდება თსუ ენების შემსწავლელი ცენტრის მიერ.

ამ ენებში გამოცდიდან ასევე თავისუფლდებიან კანდიდატები, რომელთაც მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საფეხური გავლილი აქვთ ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენაზე ბოლო 2 წლის განმავლობაში. შესაბამის პროცედურას უზრუნველყოფს და გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

დანართი №3

სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განმარტებანი

კვლევის მეთოდოლოგია – თითოეული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა დოქტორანტს სთავაზობს დარგობრივი კვლევის უახლესი მეთოდოლოგიის სასწავლო კურსს. შესაძლებელია, დოქტორანტმა "კვლევის მეთოდოლოგიის" შესაბამისი კურსები გაიაროს დოქტორანტურის მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ან სხვა ფაკულტეტზე, თუ ამას მოითხოვს მისი სადისერტაციო ნაშრომის სპეციფიკა.

პროფესორის ასისტენტობა – დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტი ვალდებულია ასისტენტობა გაუწიოს აკადემიურ პერსონალს და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში.

პროფესორის ასისტენტობა გულისხმობს შემდეგს: სამუშაო ჯგუფის, ლაბორატორიული სამუშაო-ების, პრაქტიკული სამუშაოს/ პრაქტიკული დავალების ჩატარება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის; სალექციო კურსის წაკითხვა "საბავშვო უნივერსიტეტის" მსმენელებისათვის; შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადება; სტუდენტთა ნაშრომების გასწორება; საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირება; ელექტრონული სასწავლო კურსის მომზადება სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით (ე.წ. LMS – Learning Management System – Moodle და სხვ.); საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა; ტუტორობა და სხვ.

კრედიტების რაოდენობა დამოკიდებული უნდა იყოს ჩატარებული საათების რაოდენობაზე და იმ დროზე, რომელიც მოანდომა დოქტორანტმა შესრულებულ სამუშაოს. კრედიტების მინიჭება შეიძლება მოხდეს შემდეგი პრინციპით: მაგალითად, თითოეულ ჩატარებულ საათს ემატება ოთხი საათი, ანუ პირობითად ის დრო, რომელსაც ანდომებს დოქტორანტი მისთვის მზადებას. დავუშვათ, დოქტორანტმა სემესტრის განმავლობაში ჩაატარა 30 საათი. 30 + 120 = 150. 150 : 25 = 6 კრედიტი.

საათების რაოდენობას შეიძლება დაემატოს ის დრო, რომელიც დოქტორანტმა დაუთმო თავისი ხელმძღვანელის (ან სხვა რომელიმე სრული და ასოცირებული პროფესორის) ლექციებზე დასწრებას პროფესიული სრულყოფის, შესაბამისი მეთოდოლოგიის დაუფლების მიზნით. მაგალითად, თუ დოქტორანტმა სემესტრში ჩაატარა 30 საათი და დაესწრო სხვის მიერ ჩატარებულ 15 ლექციას, მაშინ კრედიტის მინიჭება მოხდება შემდეგი პრინციპით: 30 + 120 + 15 = 165. 165 : 25 = 7 კრედიტი.

კრედიტების რაოდენობა შეიძლება დამოკიდებული იყოს გასწორებული ნაშრომების რაოდენობაზე. მაგალითად, თითოეული ნაშრომის გასწორებას დოქტორანტი პირობითად ანდომებს 1 საათს. თუ მან გაასწორა 150 ნაშრომი, მას ამ საქმეზე დაუხარჯავს 150 საათი. 150 : 25 = 6 კრედიტი.

დოქტორანტის მიერ პროფესორის ასისტენტობის შეფასება ხდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე (დანართი №10) პროფესორის ასისტენტობისთვის კრედიტის მინიჭების წინაპირობა არის შესრულებული სამუშაოს დადებითად შეფასება იმ პროფესორის მიერ, რომელსაც დოქტორანტმა ასისტენტობა გაუწია.

სემინარი/დარგობრივი სემინარი – თითოეულ ფაკულტეტზე დოქტორანტურის სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეიძლება შეიქმნას სადოქტორო სემინარი, რომელშიც მონაწილეობენ შესაბამისი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები (კოორდინატორები), სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელები და დოქტორანტები; სემინარების რაოდენობა განსაზღვრულია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით.

სემინარის ორგანიზებას ახდენს ფაკულტეტი. შესაძლებელია, შეიქმნას ინტერდისციპლინური და ინტერფაკულტეტური სემინარები. სადოქტორო სემინარის მონაწილეები წარმოადგენენ მოხსენებებს მეცნიერების სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე, რომელსაც მოჰყვება დისკუსია. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი. სხვა პირობები დგინდება შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით.

სამეცნიერო-კვლევითი პროექტი - სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული მინიმუმ 2 სამეცნიერო-კვლევითი პროექტი. დოქტორანტი წინამდებარე პროექტის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე წარუდგენს ფაკულტეტს. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ზეპირი განხილვა/პრეზენტაცია ჩატარდება პროგრამის ხელმძღვანელის, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის და შესაბამისი ფაკულტეტის წარმომადგენლების ჩართულობით.

საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები – იმ შემთხვევაში, თუ აკადემიური წარსულიდან (მინიჭებული კვალიფიკაცია) ან სადისერტაციო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, დოქტორანტს სჭირდება გარკვეული დარგობრივი კომპეტენციების დამატებით შეძენა, მას აქვს უფლება თავისი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელთან და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან (კოორდინატორთან) შეთანხმებით გაიაროს ესა თუ ის სასწავლო კურსი, რომელიც შემოთავაზებულია საუნივერსიტეტო კურიკულუმის ფარგლებში ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სასწავლო კურსების გავლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომელიც სწავლების მესამე საფეხურზე იცვლის სპეციალობას. ამ შემთხვევაში დოქტორანტს არ ენიჭება კრედიტები, თუმცა აღნიშნული სასწავლო კურსები მას აძლევს საშუალებას, რომ მიიღოს სპეციფიკური დარგობრივი ცოდნა და გამოიმუშავოს გარკვეული დარგობრივი თუ ტრანსფერული უნარები, სადისერტაციო ნაშრომის საჭიროებებიდან გამომდინარე (26.02.2018, №77/2018).

პრაქტიკა – დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია დოქტორანტმა გარკვეული დრო პრაქტიკას დაუთმოს. მაგალითად, საველე პრაქტიკა, პრაქტიკა სკოლაში, საწარმოში, სოციოლოგიურ გამოკითხვაში მონაწილეობა და სხვ. თუ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკას, მაშინ წინასწარ უნდა იქნას წარმოდგენილი პრაქტიკის გეგმა (სილაბუსი), რომელიც პროგრამასთან ერთად დამტკიცდება, ხოლო დოქტორანტის მიერ გავლილი პრაქტიკის შეფასება მოხდება პრაქტიკის ანგარიშის ფორმით (პრაქტიკის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სპეციალური დადგენილება „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“).

სხვა – სხვა (მაგ.: დარგობრივი სპეცკურსები) სასწავლო აქტივობის/აქტივობებისათვის

კრედიტების მინიჭება ხდება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წარდგინებით, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთობლივი დასკვნის საფუძველზე.

უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსი – უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების აღიარება ხდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სპეციალური დადგენილების (№105/2012; №70/2018) შესაბამისად.

დანართი №4

საერთაშორისო რეცენზირებისათვის სტატიის
წარმოდგენისა და მისი შეფასების წესი

1. სტატიის სარეცენზიოდ წარდგენა

1. საერთაშორისო რეცენზირებისათვის დოქტორანტმა უნდა წარადგინოს გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული ერთი სტატიის ნაბეჭდი და ელექტრონული PDF ვერსია კომპაქტდისკით;
2. იმ შემთხვევაში, თუ სტატია გამოქვეყნებულია ქართულ ენაზე, დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს სტატიის თარგმანი რომელიმე ევროპულ სამეცნიერო ენაზე (ნაბეჭდი და ელექტრონული PDF ვერსია კომპაქტდისკით). სტატიის თარგმანის ელექტრონული ვერსიის ტექნიკური გაფორმება (შრიფტის ზომა, სტრიქონებს შორის მანძილი, გვერდის საზღვრები და ა.შ.) არ არის მკაცრად განსაზღვრული.
3. სტატიის ნაბეჭდ ვერსიას თან უნდა ახლდეს მოკლე ანოტაცია ქართულად და დარგის სპეციალისტის (რომელიც არ უნდა იყოს დოქტორანტის ხელმძღვანელი) წერილობითი დასკვნა სტატიის სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე (შუამდგომლობა სტატიის სარეცენზიოდ გასაგზავნად).
4. დოქტორანტი და სტატიის მიღებაზე პასუხისმგებელი პირი ხელს აწერენ დოკუმენტს, რომლითაც დასტურდება სტატიის მიღება და სტატიის ჩაბარების თარიღი. დოკუმენტის ასლი ინახება დოქტორანტთან სტატიის რეცენზირების დასრულებამდე.

2. რეცენზენტები

1. დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი სტატია ეგზავნება არანაკლებ ორ ექსპერტს, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.
2. ექსპერტის ვინაობა კონფიდენციალურია, როგორც სტატიის გაგზავნისას, ასევე რეცენზიის მიღების შემდგომ პერიოდში.
3. ექსპერტი შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირი.
4. ექსპერტის დასკვნისათვის გამოყოფილი დრო განისაზღვრება რეცენზირებაზე თანხმობის მიღების დღიდან ორი თვის ვადით.
5. ორი თვის განმავლობაში ექსპერტის პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში, დოქტორანტის სტატია/დისერტაციის შემოკლებული ვერსია ეგზავნება სხვა ექსპერტს.
6. ექსპერტებისგან ექვსი თვის განმავლობაში პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში, დოქტორანტი ასრულებს სადისერტაციო ნაშრომის შეფასების ინტერნაციონალიზაციის რომელიმე სხვა მოთხოვნას.

7. რეცენზირებისათვის საჭირო თანხა ფაკულტეტის თანხმობის შემთხვევაში შეიძლება გამოიყოს შესაბამისი ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.
8. დოქტორანტის დისერტაციის შემოკლებული ვერსიის/სტატიის რეცენზირება შეიძლება მოახდინოს აგრეთვე: 1) უნივერსიტეტში მოწვეული პროფესორის (visiting professor) სტატუსით მყოფმა პარტნიორი უცხოური უნივერსიტეტის და/ან სამეცნიერო კვლევითი ცენტრის პროფესორმა და/ან მკვლევარმა მისი თანხმობის შემთხვევაში; 2) უნივერსიტეტში ამა თუ იმ სამეცნიერო სტიპენდიით, კვლევითი გრანტით მყოფმა უცხოელმა პროფესორმა და/ან მკვლევარმა მისი თანხმობის შემთხვევაში (მაგალითად, DAAD-ის, Fullbright-ის სტიპენდიანტები და სხვა).

3. შეფასების სისტემა

1. სტატიის შეფასება ხორციელდება 20 ქულიანი სისტემით. ნაშრომი დადებითად ფასდება, თუ ის მოაგროვებს არანაკლებ 12 ქულას.
2. შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ა) შინაარსი (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: პრობლემის აქტუალობა; იკვეთება თუ არა დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, არის თუ არა ნათელი ავტორის მიზანი. არგუმენტაცია ზუსტი, კონკრეტული და კომპლექსური. კონცენტრირებულია თუ არა სტატია ძირითად საკვლევ საკითხებზე.
ბ) ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: ავტორის მიერ ყველა იდეის სრულად განვითარება. საკითხის სიღრმისეულად შესწავლა, საკვლევი საკითხის ამომწურავად შესწავლა. ავტორის პოზიცია გამყარებულია თუ არა ნათელი და სარწმუნო არგუმენტაციით. არის თუ არა საკმარისი რაოდენობის დამხმარე ლიტერატურა. არის თუ არა დამხმარე ლიტერატურა სპეციფიკური და არა ზოგადი. გვაქვს თუ არა აკადემიური და მიმდინარე შრომების ბალანსი.
გ) მონაცემთა სარწმუნოობა (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: მონაცემების სისწორე. წყაროდ გამოყენებულია თუ არა კომპეტენტური ავტორის მიერ დაწერილი ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია კარგი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ. პირველწყაროდან იღებს თუ არა ავტორი თანამედროვე მეცნიერების მონაცემებს. რამდენად ორგანულად ერწყმის ტექსტს მოყვანილი ციტატები. არის თუ არა მონაცემები მოყვანილი შესაბამისი წყაროებიდან და არის თუ არა ყველა ციტირებული წყარო აღნიშნული ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში.
დ) სტრუქტურა (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: არის თუ არა სტატია კარგად სტრუქტურირებული. კეთდება თუ არა მეტი აქცენტი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე, ხოლო უფრო ნაკლები – შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მქონეზე. სტატია კარგად თუ არის ორგანიზებული და მისი ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია. როგორია პარაგრაფიდან პარაგრაფზე გადასვლა. თითოეული პარაგრაფი სრულად თუ არის განვრცობილი.
ე) შედეგები (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: შედეგები რამდენად არის ახალი, მნიშვნელოვანი და დამაჯერებელი. შემუშავებულია თუ არა ახალი მიდგომა. არის

თუ არა ახალი მონაცემები ახალი დასკვნებისათვის. ხომ არ არის დასკვნებში სუსტი ადგილები. ლოგიკურია თუ არა დასკვნები.

3. თუ ორი დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასება არის არანაკლებ 12 ქულა, დაკვნა დადებითია. თუ ერთი ექსპერტის შეფასება უარყოფითია, ხოლო მეორის დადებითი, სტატია ეგზავნება მესამე ექსპერტს. ორი უარყოფითი დასკვნის მიღების შემთხვევაში სტატია უბრუნდება დოქტორანტს დასამუშავებლად.

4 . შედეგების გაცნობა

1. ნაშრომი და ნაშრომის შეფასება არ არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისათვის, გარდა მეორე პუნქტით გათვალისწინებული პირებისა.
2. ნაშრომის შეფასების შედეგი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შესაბამის ფაკულტეტს.

სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქცია

1. საწყისი ნაწილი - ნაშრომის საწყისი გვერდები (თავფურცლის გარდა) ინომრება რომაული ციფრებით:

1.1. თავფურცელი (მიეთითოს: უნივერსიტეტის სახელწოდება; ფაკულტეტის სახელწოდება; სადოქტორო პროგრამის სახელწოდება; ავტორის სახელი და გვარი; სადისერტაციო ნაშრომის სათაური; ტექსტი „---------- დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია"; სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის სახელი და გვარი; ნაშრომის წარდგენის ადგილი და წელი).

1.2. სადისერტაციო ნაშრომის აბსტრაქტი/რეზიუმე (ტექსტი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ, ინგლისურ და პროგრამის განხორციელების ენებზე. თითოეული ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას).

1.3. სარჩევი (აღინიშნოს სადისერტაციო ნაშრომის ყველა ნაწილი მათი თანმიმდევრობის შესაბამისად).

1.4. ცხრილების, გრაფიკებისა და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი (თითოეული ცხრილი, გრაფიკი და სხვა თვალსაჩინოება უნდა იყოს დასათაურებული და დანომრილი. ჩამონათვალში მიეთითოს - სათაური, ნომერი და გვერდი).

1.5. აბრევიატურების ჩამონათვალი (აბრევიატურების სრული ჩამონათვალი და შესაბამისი განმარტებები).

2. ძირითადი ნაწილი: ნაშრომის ძირითადი ნაწილი ინომრება არაბული ციფრები.

2.1. შესავალი (აღიწერება - საკვლევი პრობლემა; კვლევის მნიშვნელობა; კვლევის მიზანი; ჰიპოთეზა ან/და საკვლევი საკითხები);

2.2. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა (გამოქვეყნებული სტატიები, წიგნები, მონოგრაფიები, სადისერტაციო ნაშრომები და სხვა სახის მასალები; წყაროების მითითებისას თსუ-ში ფაკულტეტების მიერ დამტკიცებული აკადემიური სტილის (APA სტილი) ყველა შესაბამისი ნორმა უნდა იყოს დაცული).

2.3. კვლევის მეთოდოლოგია (კვლევის ყველა გამოყენებული მეთოდი უნდა იყოს მითითებული და მათი გამოყენება დასაბუთდეს ეფექტურობის თვალსაზრისით. დეტალურად და თანმიმდევრულად აღიწეროს კვლევის პროცედურები).

2.4. კვლევის შედეგები (შედეგების წარდგენა სისტემური და ლოგიკური უნდა იყოს).

2.5. დასკვნები და რეკომენდაციები (ყველა ძირითადი შედეგის შეჯამება და საკვლევი საკითხის შემდგომი შესწავლისთვის ჩასატარებელი კვლევების პერსპექტივები/ რეკომენდაციები).

3. დასკვნითი ნაწილი:

3.1. ბიბლიოგრაფია (ყველა გამოყენებული წყარო - ელექტრონული თუ ბეჭდვითი მასალები - მიეთითოს ანბანური თანმიმდევრობით).

3.2. დანართები (მასალა, რომლის სრული მითითება ძირითად ნაწილში არ არის მიზანშეწონილი).

სადისერტაციო ნაშრომის ზღვრული მოცულობა - 120-180 გვ. სადისერტაციო ნაშრომის ფორმატირებისას გამოიყენება Sylfaen-ის შრიფტი. ველები: მარჯვენა ველი - 1,5 სმ., მარცხენა ველი - 3 სმ., ზედა ველი - 2 სმ., ქვედა ველი - 2 სმ. ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა - 12; ტექსტის სტრიქონებს შორის მანძილი - 1.5.

დანართი №6

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
---------- ფაკულტეტის საბჭოს/
სადისერტაციო მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიას
(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „----------„
დოქტორანტ ----------
(სახელი, გვარი)

განცხადება

გაცნობებთ, რომ ჩემ მიერ შესრულებული სადისერტაციო ნაშრომი „----------„ წარმოადგენს დამოუკიდებელი კვლევის შედეგს და არ შეიცავს პლაგიატს/გაყალბებულ მონაცემებს.

დოქტორანტის ხელმოწერა:
თარიღი:

დანართი 7

შემაჯამებელი ანგარიში
---------- ფაკულტეტის
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „----------„
დოქტორანტ ---------- შესრულებული სამუშაოს
შესახებ

ზოგადი ინფორმაცია

დოქტორანტურაში ჩარიცხვის თარიღი და ბრძანება	
სადისერტაციო ნაშრომის სათაური (თემის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მითითებით; ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი, აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა)	
სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი, აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა; ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მითითებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
ხელმძღვანელ(ებ)ი (სახელი, გვარი, აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა) (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
თანახელმძღვანელ(ებ)ი (სახელი, გვარი, თანამდებობა) (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
სამეცნიერო კონსულტანტი (სახელი, გვარი, აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა) (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	

სასწავლო კომპონენტი

N	სასწავლო კომპონენტის დასახელება	სასწავლო წელი/სემესტრი	კრედიტების რაოდენობა	შეფასება
1	სასწავლო კურსი			
2	პროფესორის ასისტენტობა			

3	დარგობრივი სემინარი			
4	კვლევის მეთოდოლოგია			
5	სხვა აქტივობა			

სამეცნიერო კომპონენტი

1. **ინფორმაცია სამეცნიერო კომპონენტის შესახებ** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ა)

N	**სამეცნიერო კომპონენტის დასახელება**	**სასწავლო წელი/სემესტრი**	**კრედიტების რაოდენობა**	**შეფასება**
1	სამეცნიერო-კვლევითი პროექტი I /კოლოკვიუმი I			
2	სამეცნიერო-კვლევითი პროექტი II/ კოლოკვიუმი II			
3	სხვა აქტივობა			

2. ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა და დოქტორანტის უცხოეთში ვიზიტის შესაბამისობა საკვლევ თემასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
(აღწერეთ სამეცნიერო კომპონენტის ფარგლებში ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა. კვლევის მიზნებისათვის განხორციელებული სამეცნიერო კვლევითი ვიზიტი/სტაჟირება (ასეთის არსებობის შემთხვევაში): მიუთითეთ მიმღები ინსტიტუტის/კვლევითი ცენტრის სახელწოდება და ქვეყანა, მივლინების/სტაჟირების განმავლობაში სამეცნიერო კონსულტანტის სახელი, გვარი, სამეცნიერო ხარისხი და როლი სადისერტაციო ნაშრომის მიზნების მიღწევაში. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა).

3. ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში (ფორუმები, კონფერენციები, სემინარები, ვორკშფები და ა.შ.) მონაწილეობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

N	**სამეცნიერო ფორუმის დასახელება, ჩატარების თარიღი და ადგილი**	**მოხსენების სათაური**	**ელექტრონული მისამართი**
1			
2			

4. სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული გამოქვეყნებული პუბლიკაციები

N	**ავტორ(ებ)ი** (ყველა	**პუბლიკაციის სახეობა** (მონოგრაფია, სტატია	**პუბლიკაციის სათაური**	**გამოქვეყნების წელი**

	თანაავტორის მითითებით; დოქტორანტის გვარი გამოიყოს მუქი შრიფტით)	რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონფერენციო მასალები (Proceedings) და სხვ.)	(ჟურნალის/ გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში))	
1				
2				

სადისერტაციო ნაშრომის აბსტრაქტი

აბსტრაქტს თან უნდა ახლდეს ავტორის გვარი და სახელი, ნაშრომის სათაური (ქართულ და ინგლისურ ენებზე).
აბსტრაქტის ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას.
საკვანძო სიტყვების რაოდენობა: 5 სიტყვა.

1. სადისერტაციო თემის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა
(თემის მოკლე მიმოხილვა; დასაბუთება, თუ რატომ არის თემა მნიშვნელოვანი და აქტუალური; კვლევის მეცნიერული სიახლის/ინოვაციური მიდგომების აღწერა.);
2. კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები
(აღწერეთ კვლევის მიზნები და ამოცანები; ჩამოთვალეთ და მოკლედ აღწერეთ საბოლოო მიზნის მისაღწევად შესასრულებელი ამოცანები შედეგების მითითებით.);
3. სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის მეთოდოლოგია
(კვლევის სტრუქტურის აღწერა; კვლევის მეთოდოლოგიის დასაბუთება და შესაბამისობა თემის მიზანი/მიზნებთან.);
4. კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და პოტენციური პრაქტიკული მნიშვნელობა
(დაასაბუთეთ, რა გამოწვევების გადაჭრაზეა ორიენტირებული კვლევა, კვლევის შედეგების მნიშვნელობა ქვეყნის, რეგიონის ან მსოფლიოსათვის და პოტენციური გავლენა დარგსა და ფართო საზოგადოებაზე.).

დანართი №8

სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
---------- ფაკულტეტის
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „----------“ დოქტორანტ
---------- (სახელი, გვარი) სადისერტაციო ნაშრომის „----------„ შესახებ

1. სამეცნიერო ხელმძღვანელმა დოქტორანტი უნდა შეაფასოს სწავლის და კვლევის მიღწეული შედეგების - სასწავლო და კვლევითი კომპონენტების, ასევე კვლევის მიზნებისათვის განხორციელებული სამეცნიერო კვლევითი ვიზიტის/სტაჟირების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში (ფორუმები, კონფერენციები, სემინარები, ვორკშფები და ა.შ.) მონაწილეობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული გამოქვეყნებული პუბლიკაციების - საფუძველზე (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა).

2. დადასტურებული უნდა იყოს სადისერტაციო ნაშრომის მნიშვნელობა და აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა. ინფორმაცია პლაგიატის/გაყალბებული მონაცემების თაობაზე (სიტყვების რეკომენდირებული რაოდენობა - 800 სიტყვა).

სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა:

თარიღი:

დანართი №9

რეცენზია

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ---------- ფაკულტეტის

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „----------“ დოქტორანტ ---------- (სახელი, გვარი) სადისერტაციო ნაშრომის „----------„ შესახებ

რეცენზენტმა სადისერტაციო ნაშრომი უნდა შეაფასოს შედეგი კრიტერიუმებით:

1. სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა;
2. სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, პრობლემის ფორმულირება;
3. კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები;
4. კვლევის მეთოდოლოგია;
5. კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა.
6. ინფორმაცია პლაგიატის/გაყალბებული მონაცემების თაობაზე.

რეცენზიის სტრუქტურა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს:

1. ნაშრომის ფორმალური მხარის შეფასება

1.1. ნაშრომის ტექნიკური მონაცემები

1.2. ნაშრომის კომპოზიცია

1.3. ნაშრომის ენობრივი და სტილისტური ფორმულირება

1.4. დიაგრამები, ტაბულები, მატრიცები

1.5. ციტირების ფორმატი

2. ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასება

2.1. პრობლემის დასმა

2.2. ლიტერატურის შეფასება

2.3. ნაშრომის ცალკეული შემადგენელი ნაწილების შეფასება

2.4. კვლევის მეთოდოლოგია, კვლევითი ნაწილის შედეგები

2.5. ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

3. საკითხები, რომლებიც დამატებით განმარტებას მოითხოვენ

4. შემაჯამებელი შეფასება

რეცენზენტი გასცემს რეკომენდაციას დისერტაციის დაცვაზე დაშვების ან არდაშვების შესახებ.

დანართი N11

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე კანდიდატთა ჩარიცხვის პროცედურების გასაჩივრება

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე კანდიდატთა ჩარიცხვის პროცედურების გასაჩივრების მიზნით ფაკულტეტზე დოქტორანტურაში მიმღებ კომისიასთან ერთად იქმნება დოქტორანტურაში მიღების სააპელაციო კომისია.

2. სააპელაციო კომისიის შემადგენლობა და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა წესები, რომელიც არ რეგულირდება ხსენებული დანართით განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ.

3. გასაჩივრების შემთხვევაში, კანდიდატი შედეგების გაცნობიდან/საჯარო გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა წერილობითი განაცხადით მიმართავს სააპელაციო კომისიას. განაცხადი უნდა მოიცავდეს დეტალურ აღწერას და დასაბუთებას ჩარიცხვის პროცედურებში გამოვლენილი დარღვევების შესახებ, რომელმაც იმოქმედა დოქტორანტობის კანდიდატის ჩარიცხვაზე.

4. სააპელაციო კომისიის მიერ საჩივრის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 სამუშაო დღეს. კომისია უფლებამოსილია კანდიდატს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან/და მოიწვიოს განხილვაზე არაუგვიანეს განხილვამდე 1 დღით ადრე.

5. სააპელაციო კომისია შეისწავლის საქმეს და სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას დარღვევის არსებობასთან დაკავშირებით:

ა) იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილებით გამოვლინდა პროცედურული დარღვევა შესაბამისი მითითებით საკითხი უბრუნდება დოქტორანტურაში მიმღებ კომისიას საჭირო პირობების დაცვით მისი ხელახლა განხილვის მიზნით.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო კომისიამ ჩარიცხვის პროცესში არ გამოავლინა დარღვევები, დოქტორანტურაში მიმღები კომისიის გადაწყვეტილება რჩება უცვლელი.

6. სააპელაციო კომისია ვალდებულია გადაწყვეტილება გააცნოს აპელანტს.

7. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

8. გასაჩივრების პროცედურები საჯაროა და უზრუნველყოფს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი N12

დისერტაციის დაცვის პროცედურების გასაჩივრება

1. დისერტაციის დაცვის პროცედურების გასაჩივრების მიზნით სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიასთან ერთად იქმნება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის სააპელაციო კომისია.

2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის სააპელაციო კომისიის შემადგენლობა და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა წესები, რომელიც არ რეგულირდება ხსენებული დანართით განისაზღვრება უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებით.

3. კომისიის შემადგენლობა და ფუნქციონირება უნდა უზრუნველყოფდეს სამართლიანობის, მიუკერძოებლობის და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვას.

4. გასაჩივრების შემთხვევაში, დოქტორანტი შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა, წერილობითი განცხადებით მიმართავს სადისერტაციო ნაშრომის სააპელაციო კომისიას. ხსნებული განცხადება უნდა მოიცავდეს დეტალურ აღწერას და დასაბუთებას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცესში გამოვლენილი პროცედურული დარღვევების შესახებ, რომელმაც იმოქმედა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შედეგებზე.

5. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის სააპელაციო კომისიის მიერ საჩივრის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 15 სამუშაო დღეს. კომისია უფლებამოსილია კანდიდატს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან/და მოიწვიოს განხილვაზე არაუგვიანეს განხილვამდე 2 სამუშაო დღით ადრე.

6. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის სააპელაციო კომისია შეისწავლის საქმეს და სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას:

ა) პროცედურული დარღვევების გამოვლენის შესახებ და შესაბამისი მითითებით საკითხი უბრუნდება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას მისი ხელახლა განხილვის მიზნით;

ბ) პროცედურული დარღვევების არ არსებობის შესახებ. ამ შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის გადაწყვეტილება რჩება უცვლელი.

7. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის სააპელაციო კომისია ვალდებულია დასაბუთებული გადაწყვეტილება გააცნოს დაინტერესებულ მხარეებს გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

8. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

9. გასაჩივრების პროცედურები საჯაროა და უზრუნველყოფს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე დოქტორანტურაში მისაღებ დარგობრივ კომისიასთან გასაუბრების კრიტერიუმები:

1. **კვლევითი პროექტი:** 3-4 გვერდის მოცულობით, სადაც დასაბუთებულია სადისერტაციო თემის აქტუალობა, კვლევის მიზანი, ამოცანები და დაგეგმილი (მისაღწევი) სამეცნიერო-თეორიული და პრაქტიკული შედეგები.

2. დოქტორანტობის კანდიდატმა გასაუბრებისას **წარმოდგენილი კვლევითი პროექტის მიხედვით** უნდა გააკეთოს **მოხსენება** დარგობრივ კომისიასთან.

დარგობრივ კომისიასთან გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები:

გასაუბრება შეფასდება სამი კრიტერიუმით:

- **განათლება** (კვალიფიკაციასთან შესაბამისობა)
- **მოტივაცია**
- **კვლევითი პროექტის პრეზენტაცია**

შენიშვნა:

თითოეული კომპონენტი ფასდება 1-10 ქულამდე. საბოლოო შეფასება მოხდება სამივე კომპონენტის საშუალო არითმეტიკულით. 6 და ნაკლები ქულის დაგროვების შემთხვევაში დოქტორანტობის კანდიდატი ეთიშება კონკურსს.